თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ო ქ მ ი №21

დ. თიანეთი **2010 წლის 2 4 დეკემბერი**

სხდომის თავმჯდომარე: გ. წიკლაური - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის მდივანი: ხ. არჩემაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების მთ. სპეციალისტი

საკრებულოს წევრები: ნუგზარ ყურშავიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
თ. ცოცხალაშვილი, მ ქეშიკაშვილი, ი. შარაზადიშვილი
ი. დიდებაშვილი, ზ. ბადურაშვილი, დ. ჭინჭარაული
თ. პატარაშვილი, ნ. ქავთარაძე, გ. ჯანგირაშვილი,
ზ. ჯაბანიშვილი, გ. მინდიკაური, ზ. დავითაშვილი,
ი. ფილაური, თ. სისაური, ბ. გიგაური.

ი. ჭყრუნიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი

გ. მაისურაძე - მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილე

გ. აბაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ნ. ბაღიაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

თ. იარაჯული - თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

ნ. ხუციშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე

ა. ბასილაშვილი - პოლიციის უფროსი თიანეთის მუნიციპალიტეტში

ნ. გიანაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყ-ის მთ. სპეციალისტი

ი. ჭინჭარაული - თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყ-ის უფროსი

ზ. დოჯურიშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი

1. თიანეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი გ. წიკლაური)

2. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009წლის 30 დეკემბრის # 40 დადგენილებაში (თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წ ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ) ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი გ. წიკლაური)

3. ,,თიანეთის უნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეთა მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის მონო ბარათების და სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) საწვავის ლიმიტების განსაზღვრის შესახებ“

(მომხსენებელი გ. წიკლაური)

მოისმინეს 1: თიანეთის მუნიციპალტეტის 2011 წ ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი გ. წიკლაური)

აზრი გამოთქვეს: გ.მაისურაძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა დასუფთავების პრობლემებზე, რომ ყველა ორგანიზაციამ ხელშეკრულება უნდა გააფორმოს შესაბამის სამსახურებთან.

თ. იარაჯულმა რომელმაც აღნიშნა, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტში უნდა შემოიტანონ 100ცალი ურნა და მუნიციპალიტეტს უნდა ემსახუროს 2 ერთეული ნაგვის მანქანა.

გ.წიკლაურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2 ერთეული ნაგვის მანქანა მოემსხურება როგორც დ. თიანეთს, ასევე დ. სიონს. ახალ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხარჯების გაზრდა.

ღია კენჭისყრის შედეგად

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მუხლი 1.

1.1 განისაზღვროს თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2011 წლის შემოსულობები 1876.6 ათ. ლარით.

1.2 შემოსავალი გრანტებიდან 1564.8 ათ. ლარით.

მათ შორის:

ა) გათანაბრებითი ტრანსფერებიდან 1464.8 ათ. ლარით,

ბ) მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერებიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 100.0 ათ. ლარით;

1.3 გადასახადები 69.2 ათ. ლარით,

1.4 სხვა შემოსავლები 200.6 ათ. ლარით;

1.5 არაფინანსური აქტივებიდან შემოსავლები 42.0 ათ. ლარი

მუხლი 2.

2.1 განისაზღვროს თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2011 წლის ხარჯები 1876.6 ათ. ლარი.

მათ შორის:

2.2 თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები 2011 წელში განისაზღვროს 175.6 ათ. ლარის ოდენობით.

2.3 თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები განისაზღვროს 733.6 ათ. ლარით.

2.4 სარეზერვო ფონდი 36.6 ათ. ლარით

2.5 მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯები 8.0 ათ. ლარით

2.6 საბანკო მომსახურების ხარჯები 3.7 ათ. ლარი

2.7 აუდიტორული მომსახურების ხარჯები 10.0 ათ. ლარით.

2.8 ადგილობრივი თვითმმართველობის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ხარჯები 75.7.

2.9 შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსების ხარჯები 10.0 ათ. ლარი

2.10 თავდაცვის ღონისძიებების ხარჯები განისაზღვროს 68.6 ათ. ლარის ოდენობით

2.11 ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაცის და ექსპლოატაციის ხარჯები 2011 წელში განისაზღვროს 122.0 ათ. ლარი

მათ შორის:

ა) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე დაიხარჯოს 12.0 ათ. ლარი

ბ) დასუფთავების ღონისძიებებზე 110.0 ათ. ლარი

2.12 სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები 2011 წელს განისაზღვროს 257.0 ათ. ლარის ოდენობით

მათ შორის:

ა) სპორტულ სკოლას მოხმარდეს 66.9 ათ. ლარი

ბ) სპორტულ გამაჯანსაღებელ კომპლექსს 13,0 ათ. ლარი

გ) სახელოვნებო სკოლას 29,1 ათ. ლარი

დ) ბიბლიოთეკებს 25,6 ათ. ლარი

ე) კულტურის სახლებს 52,2 ათ. ლარი

ვ) მუზეუმებს 19,8 ათ. ლარი

ზ) კულტურის ცენტრს 28,4 ათ. ლარი

თ) კულტურულ ღონისძიებებს 22,0 ათ. ლარი

2,13 განათლების ხარჯები 2011 წელში განისაზღვროს 258,4 ათ. ლარის ოდენობით

მათ შორის:

ა) სკოლამდელი აღზრდის ხარჯები 247,4 ათ. ლარი

ბ) მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხარჯები 11,0 ათ. ლარი

2,14 სოციალური დაცვის ხარჯები 2011 წელში განისაზღვროს 117.4 ათ. ლარის ოდენობით.

მათ შორის:

ა) საზოგადოებრივ ჯანდაცვას მოხმარდეს 28,5 ათ. ლარი

ბ) უფასო სასადილოს დაფინანსებას 34,0 ათ. ლარი

გ) ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯებს 2,9 ათ. ლარი

დ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის ხარჯებს 8,0 ათ. ლარი

ე) სოციალურად დაუცველ მოქალაქეების დახმარებებს 44,0 ათ. ლარი

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს 2: თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის # 40 დადგენილებაში (თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წ ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ) ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი გ. წიკლაური)

მომხსენებელმა საკრებულოს ხდომაზე დამსწრეებს გააცნო განმარტებითი ბარათი, სადაც გადაწყვეტილების მიღების საჭიროებაა დასაბუთებული.

აზრი გამოთქვეს: თ. ცოცხალაშვილმა, გ. გოჯიაშვილმა, ი. ფილაურმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილებები თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კერძოდ:

1. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 დეკემბრის №1160 განკარგულებით 10,0 ათ. ლარი დაემატოს და შემოსავლების ხარჯებზე გადამეტების თანხიდან, დაემატოს 19.8 ათ. ლარი კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები.)

2. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებს, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 დეკემბრის №1160 განკარგულებით დაემატოს 10,0 ათ. ლარი, კულტურული ღონისძიებების, სხვა დანარჩენი საქონელი და მოსახურების ხარჯების მუხლში.(დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.20)

3. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებს შემოსავლების ხარჯებზე გადამეტების თანხიდან დაემატოს 19.8 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები.) მათ შორის:
ა) მუნიციპალიტეტის საკრბულოს მივლინების ხარჯების მუხლში 0,1 ათ. ლარი, ოფისის ხარჯების მუხლში 2,5 ათ. ლარი. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ხარჯების მუხლში 0,8 ათ. (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.1)
ბ) მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის ოფისის ხარჯების მუხლში 5,0 ათ. ლარი,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების მუხლში 2,0 ათ. ლარი, (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.2)
გ) კულტურის სახლების სუბსიდიის ხარჯების მუხლში 9.4 ათ.ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.19)
4. მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის ოფისის ხარჯების მუხლიდან 27.9 ათ. ლარი გადატანილი იქნას, არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯების მუხლში (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.2,)
5. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების მუხლიდან 0.3 ათ. ლარი გადატანილი იქნას:
ა) შრომის ანაზღაურების ხარჯების მუხლში 0.2 ათ. ლარი
ბ) ოფისის ხარჯების მუხლში 0.1 ათ. ლარი.

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს 3: ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეთა მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის მონო ბარათების და სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) საწვავის ლიმიტების განსაზღვრის შესახებ“

(მომხსენებელი გ. წიკლაური)

აზრი გამოთქვეს: გ. ჯანგირაშვილმა, ზ. ბადურაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირებს, ასევე გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებს შეუძლიათ სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ავტომანქანების გამოყენება. აგრეთვე, მათ შეუძლიათ, გამოიყენონ ისინი თიანეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ მგზავრობისას, თუ იგი გადაადგილების ყველაზე ეკონომიური და მოსახერხებელი საშუალებაა. ასევე, საკრებულოს წევრს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან უნაზღაურდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განსახორციელებლად გაწეული ხარჯები. ამასთან ერთად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის ხელშემწყობ ღონისძიებებს განეკუთვნება მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის მონო ბარათებით მოსამსახურეთა უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-16 მუხლის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის მონო ბარათებისა და სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) საწვავის ლიმიტები თანახმად დანართი №1-სა;

2. ,,ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრის საქმიანობის უზრუნველსაყოფად, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თითოეული უხელფასო წევრისათვის (სულ 14) გამოყოფილ იქნეს საწვავი თვეში 20 ლიტრის ოდენობით (სულ 280 ლიტრი).

3. დამტკიცდეს თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მისი სტრუქტურული ერთეულების მოსამსახურეთა მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის მონო ბარათების და სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის ავტომანქანების) საწვავის ლიმიტები თანახმად დანართი №2-სა;

4. სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის ავტომანქანების საწვავის და მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის მონო ბარათების ჩამოწერა მოხდეს ყოველთვიურად. საამისოდ სათანადოდ აკინძულ შესაბამის ჟურნალში (დანართი 3)(დანართი 4)

5. მივლინებისას სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) გამოყენების შემთხვევაში საწვავის ჩამოწერა მოხდეს მის სპიდომეტრზე დაფიქსირებული განვლილი კილომეტრაჟისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

6. სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) მიმდინარე და კაპიტალური რემონტის, სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის ხარჯები განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაევალოს თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

8. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

9. ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 23 თებერვლის №2 განკარგულება ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის მოსამსახურეთა მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის მონო ბარათების და სამსახურებრივი ავტომენქანების (ასევე ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) საწვავის ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე.

10. განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნებისთანავე.

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე გ. წიკლაური